

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

„ადგილობრივი თვითმართვლობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №33 დადგენილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 34480,0 ათასი ლარით.

2023 წლის განმავლობაში განხორციელდა 3 ცვლილება. წლის დასაწყისიდან ბიუჯეტი გაიზარდა 46 548,7 ათასი ლარით.

ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად 2023 წლის ბიუჯეტი 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრა 81028,7 ათასი ლარით.

ბიუჯეტი შედგენილია პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მიზნების, მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამების და ქვეპროგრამების/ღონისძიებების ერთობლიობას. ანგარიში მოიცავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით და მასში ასახულია როგორც გეგმიური, ისე ფაქტიური მაჩვენებლები, ასევე მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაციის ძირითადი კატეგორიების მიხედვით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით), ნაშთის ცვლილების, განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის გამოყოფილი ასიგნებების საკასო შესრულების შესახებ ინფორმაციას.

I თავი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით

დასახელება	2023 წლის გეგმა			2023 დაზუსტებული გეგმა			2023 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	55,030.30	19,931.40	35,098.90	60,939.74	25,840.84	35,098.90	61,341.35	24,700.27	36,641.08

გადასახადები	30,792.00	-	30,792.00	30,792.00	-	30,792.00	31,305.73	-	31,305.73
გრანტები	20,530.80	19,931.40	599.40	26,440.24	25,840.84	599.40	25,296.17	24,700.27	595.90
სხვა შემოსავლები	3,707.50	-	3,707.50	3,707.50	-	3,707.50	4,739.45	-	4,739.45
ხარჯები	34,544.05	2,320.03	32,224.02	34,759.67	2,535.65	32,224.02	30,696.49	930.63	29,765.86
შრომის ანაზღაურება	4,402.00	110.00	4,292.00	4,402.00	110.00	4,292.00	3,957.95	90.78	3,867.17
საქონელი და მომსახურება	6,066.43	1,560.01	4,506.42	6,172.05	1,665.63	4,506.42	4,305.79	394.72	3,911.07
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	-	-	-	-	-	-	-	-	-
პროცენტი	95.10	-	95.10	95.10	-	95.10	42.00	-	42.00
სუბსიდიები	19,634.50	222.00	19,412.50	19,634.50	222.00	19,412.50	19,112.07	218.45	18,893.62
გრანტები	115.00	-	115.00	115.00	-	115.00	115.00	-	115.00
სოციალური უზრუნველყოფა	1,774.51	96.51	1,678.00	1,774.51	96.51	1,678.00	1,429.92	-	1,429.92
სხვა ხარჯები	2,456.51	331.51	2,125.00	2,566.51	441.51	2,125.00	1,733.77	226.69	1,507.08
საოპერაციო საღდო	20,486.25	17,611.37	2,874.88	26,180.07	23,305.19	2,874.88	30,644.86	23,769.64	6,875.22
არაფინანსური აქტივების ცვლილება	39,610.30	28,720.41	10,889.89	45,304.12	34,414.23	10,889.89	38,866.85	26,162.33	12,704.52
ზრდა	40,460.30	28,720.41	11,739.89	46,154.12	34,414.23	11,739.89	39,441.35	26,162.33	13,279.02
კლება	850.00	-	850.00	850.00	-	850.00	574.50	-	574.50
მთლიანი საღდო	(19,124.05)	(11,109.04)	(8,015.01)	(19,124.05)	(11,109.04)	(8,015.01)	(8,221.99)	(2,392.69)	(5,829.30)
ფინანსური აქტივების ცვლილება	-	-	-	-	-	-	-	-	-
ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-	-
კლება	-	-	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების ცვლილება	(114.90)	-	(114.90)	(114.90)	-	(114.90)	(114.94)	-	(114.94)
ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-	-
კლება	114.90	-	114.90	114.90	-	114.90	114.94	-	114.94
ბალანსი	-	-	-	-	-	-	-	-	-

2) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

დასახელება	2023 წლის დამტკიცებული გეგმა	2023 წლის დაზუსტებული გეგმა	2023 წლის საკასო შესრულება	შესრულების %
შემოსულობები	55,880.3	61,789.7	61,915.9	100.2


შემოსავლები	55,030.3	60,939.7	61,341.4	100.7
არაფინანსური აქტივების კლება	850.0	850.0	574.5	67.6
გადასახდელები	75,119.3	81,028.7	70,252.8	86.7
ხარჯები	34,544.1	34,759.7	30,696.5	88.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	40,460.3	46,154.1	39,441.4	85.5
ვალდებულებების კლება	114.9	114.9	114.9	100.0
ნაშთის ცვლილება	-19,239.0	-19,239.0	-8,336.9	

ა) 2023 წლის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შემოსულობები:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 61915,9 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2023 წლის გეგმიური მაჩვენებლის 100,2 %-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 31305,7 ათასი ლარი (შემოსულობების 50,6 %), გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე 25296,2 ათასი ლარი (შემოსულობების 40,8 %), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე - 4739,5 ათასი ლარი (შემოსულობების 7,7 %) და არაფინანსური აქტივების კლებაზე - 574,5 ათასი ლარი (შემოსულობების 0,9 %).

#	შემოსულობების დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
	შემოსულობები	61,915.9	100.0%
1	შემოსავლები	61,341.4	99.1%
1.1	გადასახადები	31,305.7	50.6%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	25,296.2	40.8%
1.3	სხვა შემოსავლები	4,739.5	7.7%
2	არაფინანსური აქტივების კლება	574.5	0.9%


შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულება:



ბ) შემოსავლები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 60939,7 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 61341,4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100,7 %. შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს (ფინანსურ დახმარებას) და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს.

#	შემოსულებების დასახელება	2023 წლის დაზუსტებული გეგმა	2023 წლის საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების %
1	შემოსავლები	60,939.7	61,341.4	401.6	100.7
1.1	გადასახადები	30,792.0	31,305.7	513.7	101.7
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	26,440.2	25,296.2	-1,144.1	95.7
1.3	სხვა შემოსავლები	3,707.5	4,739.5	1,032.0	127.8
2	არაფინანსური აქტივების კლება	850.0	574.5	-275.5	67.6
სულ ჯამი		61,789.7	61,915.9	126.1	100.2



გ) გადასახადები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 31305,73 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის 30792,0 ათასი ლარის 101,7 %-ია.

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქონების გადასახადი - საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ქონების გადასახადი აერთიანებს საწარმოთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა), ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა) და მიწაზე ქონების გადასახადს. ქონების გადასახადის 2023 წლის გეგმიური მაჩვენებელი 7 650,00 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ 8 198,88 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 107,17 %-ია.

დამატებული ღირებულების გადასახადი - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად დამატებული ღირებულების გადასახადიდან 19% ნაწილდება მუნიციპალიტეტებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის მომზადებისას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გაიანგარიშებს და ბიუჯეტის კანონის პროექტში ასახავს მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრულ დამატებული ღირებულების გადასახადში თითოეული მუნიციპალიტეტის კუთვნილი წილის პროცენტულ მაჩვენებელს. აღნიშნულიდან გამომდინარე ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის დამატებული ღირებულების გადასახადის 2023 წლის გეგმიური მაჩვენებელი 23142,0 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 23106,85 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 99,85%- ია.

დასახელება	2023 წლის გეგმა		2023 წლის ფაქტი	
	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის

		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	30,792.00	-	30,792.00	31,305.73	-	31,305.73
დღგ	23,142.00	-	23,142.00	23,106.85	-	23,106.85
საშემოსავლო გადასახადი	-	-	-	-	-	-
ქონების გადასახადი	7,650.00	-	7,650.00	8,198.88	-	8,198.88
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	5,650.00	-	5,650.00	5,613.52	-	5,613.52
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-	-	-	1.91	-	1.91
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	400.00	-	400.00	136.43	-	136.43
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	800.00	-	800.00	484.91	-	484.91
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	800.00	-	800.00	1,962.11	-	1,962.11

დ) ფინანსური დახმარება და გრანტები

2023 წლის განმავლობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 25296,2 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 26440,2 ათას ლარს, რაც გეგმის - 95,67 % შეადგენს.

ა) საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები – 65,9 ათასი ლარი ;

ბ) მიზნობრივი ტრანსფერი – 5181,7 ათასი ლარი ;

გ) ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად – 530,0 ათასი ლარი;


დ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები – 11575,2 ათასი ლარი;

ე) სტიქია - 6857,4 ათასი ლარი;

ვ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 1086,0 ათასი ლარი;

#	დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	%-ული წილი
	გრანტები და ფინანსური დახმარება	25,296.2	100.0%

1	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	65.9	0.3%
2	მიზნობრივი ტრანსფერი	5,181.7	20.5%
3	სპეციალური ტრანსფერი		0.0%
4	სხვა მიმდინარე გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	530.0	2.1%
5	სპეციალური ტრანსფერი	6,857.4	27.1%
6	კაპიტალური ტრანსფერი	12,661.2	50.1%



ე) სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2023 წლის საპროგნოზო მოცულობა 3707,5 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4739,4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 127,8 %. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 7,7 %-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების ფაქტიური მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

შემოსავალი პროცენტებიდან - გეგმა შესრულებულია 116,0 %-ით (წლიური გეგმა 265,9 ათ.ლარი, შესრულება 308,5 ათასი ლარი);

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის გეგმა შესრულებულია 128,6 %-ით (წლიური გეგმა 709,0 ათ.ლარი, შესრულება 911,5 ათასი ლარი);

შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 70,5 %-ით (წლიური გეგმა 100,0 ათასი ლარი, შესრულება 70,5 ათასი ლარი);

მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 116 %-ით (გეგმა 250,0 ათასი ლარი, შესრულება 290,1 ათასი ლარი);

მოსაკრებელი მოსახლეობის ტერიტორიის დასუფთავებისათვის 118,0 %-ით (გეგმა 250,0 ათასი ლარი შესრულება 295,1 ათასი ლარი);

შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან 128.5 %-ით (წლიური გეგმა 2012,6 ათასი ლარი, შესრულება 2586,9 ათასი ლარი);

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 297,0 %-ით (წლიური გეგმა 20,0 ათასი ლარი, შესრულება 59,4 ათასი ლარი);

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 208,3 %-ით (წლიური გეგმა 100,0 ათასი ლარი, შესრულება 208,3 ათასი ლარი);

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი	შესრულების %
სხვა შემოსავლები	3,707.5	4,739.4	127.8
შემოსავლები საკუთრებიდან	1,074.9	1,290.6	120.1
პროცენტები	265.9	308.5	116.0
რენტა	809.0	982.0	121.4
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	709.0	911.5	128.6
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	100.0	70.5	70.5
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	520.0	653.6	125.7
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	500.0	594.2	118.8
სანებართვო მოსაკრებლები	250.0	290.1	116.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.0	9.0	900.0
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	250.0	295.1	118.0
არა საბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვები	20.0	59.4	297.0
სანქციები, ჯარიმები და საურავები	2,012.6	2,586.9	128.5
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	100.0	208.3	208.3

ვ) არაფინანსური აქტივების კლება

2023 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა 574,5 ათას ლარს შეადგენს, შემოსავლის აღნიშნული სახის წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში შეადგენს 0,9 %-ს. არაფინანსური აქტივების კლება მოიცავს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის და სხვა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს.

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი	შესრულების %
არაფინანსური აქტივების კლება	850.00	574.50	67.58
ძირითადი აქტივები	50.00	13.47	26.94

არაწარმოებული აქტივები	800.00	561.03	70.13
მიწა	800.00	561.03	70.13

(ახსნა-განმარტება შესრულების დაბალი მაჩვენებლის შესახებ: შემოსავლების აღნიშნულ მუხლში აკუმულირდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის და სხვა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალი, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივების გაყიდვიდან მიღებული თანხები. რადგან აღნიშნული შემოსავლების განსაზღვრა წინასწარ ზუსტად ვერ ხერხდება, წელი იგეგმება წინა წლების საორიენტაციო გეგმებიდან გამომდინარე).

ზ) ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 8221,99 ათასი ლარის ოდენობით. ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 8221,99 ათასი ლარი.

თ) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთები

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 19 238,9 ათასი ლარი, აღნიშნული ნაშთიდან 11 704,7 ათასი ლარი შეადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილ თანხებს, ხოლო 7 534,2 ათასი ლარი საკუთარ თანხებს. 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ნაშთის სახით არის 10933,5 ათასი ლარი, აქედან 4562,3 ათასი ლარი არის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილ თანხები, ხოლო 6371,2 ათასი ლარი არის საკუთარი თანხები.


ვალდებულების კლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასახო ვალდებულებები ჯამში შეადგენდა 402,3 ათას ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი არის 287,4 ათასი ლარი. 2023 წელს დასაფარი დავალიანება შეადგენდა 114,9 ათას ლარს.

ი) შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

აღვიწყობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ კრილში ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შემდეგნაირად გადანაწილდა:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	7282	10.4
თავდაცვა	141	0.2
ეკონომიკური საქმიანობა	36497	52.0
გარემოს დაცვა	3922	5.6
ბინათმშენებლობა	4075	5.8
ჯანმრთელობის დაცვა	1021	1.5

დასვენება, კულტურა და რელიგია	6622	9.4
განათლება	9366	13.4
სოციალური დაცვა	1211	1.7
	70137	




კ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2023 წლის დაზუსტებული გეგმა	2023 წლის ფაქტი	შესრულების %
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5474	8095	8095	7282	90
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5474	8095	8095	7282	90
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	5333	7745	7745	7045	91
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	141	350	350	236	68

7.2	თავდაცვა	127	162	162	141	87
7.21	შეიარაღებული ძალები	127	162	162	141	87
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	20879	38894	44698	36497	82
7.45	ტრანსპორტი	8509	13456	17559	15960	91
7.451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	8509	13456	17559	15960	91
7.47	ეკონომიკის სხვა დარგები	7848	11189	11189	9566	85
7.49	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	4522	14248	15949	10972	69
7.5	გარემოს დაცვა	3296	4103	4103	3922	96
7.51	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	3296	3963	3963	3922	99
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	3793	4840	4840	4075	84
7.61	ბინათმშენებლობა	904	1232	1232	766	62
7.63	წყალმომარაგება	1382	1778	1778	1631	92
7.64	გარე განათება	1508	1830	1830	1678	92
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	888	1201	1201	1021	85
7.73	საავადმყოფოების მომსახურება	712	979	979	803	82
7.74	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	176	222	222	218	98
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	5599	6727	6727	6622	98
7.81	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2370	2765	2765	2781	101
7.82	მომსახურება კულტურის სფეროში	3085	3762	3762	3687	98
7.84	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	144	200	200	154	77
7.9	განათლება	7274	9560	9666	9366	97
7.91	სკოლამდელი აღზრდა	5840	7590	7590	7381	97
7.92	ზოგადი განათლება	1434	1970	2076	1986	96
710	სოციალური დაცვა	967	1423	1423	1211	85
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	24	25	25	24	96
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	943	1398	1398	1187	85
	სულ	48298	75004	80914	70138	87

II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გადასახდელების დაზუსტებული გეგმა შეადგენს 81028,69 ათას ლარს. ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 70252,78 ათასი ლარი წლიური გეგმის 86,7 % -ია.




- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 7537,3 ათასი ლარი წლიური გეგმის (გეგმა 8372,3 ათასი ლარი) 90 %;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსებამ შეადგინა 40306,4 ათასი ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 49172,5 ათასი ლარი) 82 % ;
- დასუფთავების და გარემოს დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 3922,5 ათასი ლარი წლიური გეგმის (გეგმა 4103,0 ათასი ლარი) 95,6 %;
- საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 9366,4 ათასი ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 9665,8 ათასი ლარი) 96,9 %;
- სპორტული და კულტურული ობიექტების და ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 6621,9 ათასი ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 6726,5 ათასი ლარი) 98,4 %;
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებამ შეადგინა 2232,3 ათასი ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 2623,5 ათასი ლარი) 85,1 %;
- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის პროგრამების დაფინანსებამ შეადგინა 266,0 ათასი ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 365,0 ათასი ლარი) 72,9 %;

2023 წლის განმავლობაში მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე აღებული ვალდებულების ფარგლებში დაფინანსდა 114,9 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

დასახელება	გეგმა	ფაქტი	შესრულების %	%-ლი წილი
ხარჯები	34,759.7	30,696.5	88.3	43.7
შრომის ანაზღაურება	4,402.0	3,958.0	89.9	5.6
საქონელი და მომსახურება	6,172.1	4,305.8	69.8	6.1
პროცენტი	95.1	42.0	44.2	0.1
სუბსიდიები	19,634.5	19,112.1	97.3	27.2
სოციალური უზრუნველყოფა	1,774.5	1,429.9	80.6	2.0
სხვა ხარჯები	2,566.5	1,733.8	67.6	2.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	46,154.1	39,441.4	85.5	56.1
ვალდებულებების კლება	114.9	114.9	100.0	0.2
გადასახდელების ჯამი	81,028.7	70,252.8	86.7	100.0

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (საკასო შესრულება - 70252,8 ათასი ლარი).



2023 წლის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯებმა შეადგინა **236345** ლარი.


ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცებული სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარეზერვო ფონდიდან კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალი, თუ რა მიზნით იქნა გამოყოფილი თანხა	სამართლებრივი აქტი	გამოყოფილი თანხა (ლარებში)	ბენეფიციართა რაოდენობა
სააფთიაქო დაწესებულებებში მედიკამენტის შესაძენად გაცემული დახმარებები	ბრძანება	22230	88
დახმარების გაწევის მიზნით მედიკამენტების შესაძენად და სამედიცინო მომსახურების დაფარვის მიზნით მოქალაქეთა პირად ანგარიშებზე თანხის ჩარიცხვა	ბრძანება	19500	53
სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობის ხარჯების თანადაფინანსება მათ შორის, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული საგარანტიო წერილების	ბრძანება	82083	216
სარიტუალო ხარჯებისთვის გაწეული დახმარებები	ბრძანება	3750	9
2023 წლის 28-29 მარტს მომხდარი სტიქიის შედეგად მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის დაზიანებული სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები	ბრძანება	89893	

2023 წლის 8 სექტემბერს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა პირველადი დახმარებისათვის საჭირო ნივთების შეძენა	ბრძანება	16729	
2023 წლის ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში 1 აგვისტოდან 5 სექტემბრის ჩათვლით მყოფი ოტოპარამედიკოსთა დაბინავების ხარჯები	ბრძანება	2160	
სულ		236345	

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ორგანიზაციულ ჭრილში

პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს შემდეგი სახე აქვს:



- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულება თან ერთვის: (დანართი #1);
- კაპიტალური ბიუჯეტის შესრულება (დანართი #2);
- მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების საბალანსო ფორმები (დანართი #3);

მუნიციპალური პროგრამების შესრულების ფორმები ინდიკატორების შესაბამისად
(დანართი #4).